პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 1944 წ. № 260 (7213). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის ზეიმი—მოწინავე. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 26 დეკემბრის ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა. (1-ლი გვერდი).

დეკეშები. (1-ლი გვერდი).

უკანასკნელი ცნობები. (1-ლი გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება. (მე-2 გვერდი).

აფხაზეთის სოფლის ექიმთა პირველი ყრილობა. (მე-2 გვერდი).

საქართველოს ჩაის მრეწველობამ წლიური გეგმა შეასრულა. (მე-2 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის ზეიმი

15 წლის წინათ, 1929 წლის 27 დეკემბერს, აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე სიტყვით „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“ გამოვიდა ამხანაგი **სტალინი**. ამ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ! სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის თეორიული დასაბუთება. ეყრდნობოდა რა მარქსის რეპროდუქციის თეორიას და ლენინის კოოპერაციულ გეგმას, სტალინმა ცხადჰყო მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობა წვრილ, დაჭუცმაცებულ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა, ახალი შინაარსით გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური აგრარული თეორია.

პარტიის XV ყრილობამ, რომელიც 1927 წელს შესდგა, ამხანაგ სტალინის წინადადებით ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივი გაშლის შესახებ. პარტიამ შეიმუშავა გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის მომზადების გეგმა და კოლოსალური მუშაობა ჩაატარა მისი განხორციელებისათვის. ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის საფუძველზე შეიქმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელმაც სოფელს დიდძალი რაოდენობით მიაწოდა ტრაქტორი, კომბაინი, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევდა კოლმეურნეობებს მანქანებით, ფულით, ადამიანებით, რჩევა-დარიგებით. მოეწყო ათასობით სანიმუშო საბჭოთა მეურნეობა. გლეხობა გამოცდილებით რწმუნდებოდა მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობაში. ყოველივე ეს რეალური ბაზა იყო საკოლმეურნეო მშენებლობის გასაჩაღებლად და იგი კიდეც გაჩაღდა 1929 წლის დამლევისათვის.

ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვა გარეწრები — ფაშიზმის ეს მოსყიდული აგენტები ცდილობდნენ გამოეწვიათ განხეთქილება მუშებსა და გლეხებს შორის, ძირი გამოეთხარათ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. ყოველგვარ ზომებს იმართავდნენ კოლმეურნეობებისათვის სახელის გასატეხად. მაგრამ ისინი ანგარიშში მოსტყუვდნენ.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ხალხი შეაიარაღა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მძლავრი იარაღით. თავის ნაშრომში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“ ამხანაგმა სტალინმა გამოაშკარავა მთელი სიყალბე ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ცრუმეცნიერებისა და ანტიმარქსისტული „თეორიებისა“, რომლებსაც ჩვენი მტრები იყენებდნენ საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისა და კულაკობის დაცვის იარაღად. ამხანაგმა სტალინმა ამხილა და გააკმატვერა ანტიმარქსისტული „თეორიები“—სახელდობრ—სახალხო მეურნეობის სექტორების ეგრეთწოდებული „წონასწორობის“ თეორია, თეორია „თვითდინებისა“ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, კულაკური თეორია წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმტკიცისა“. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კოლმეურნეობების, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმის, ბუნების ღრმა მარქსისტული ანალიზი, ცხადჰყო კოლმეურნეობების, როგორც სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზაციული ფორმის დიადი მნიშვნელობა.

1930 წლის 5 იანვარს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი სტალინის წინადადებით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „კოლექტივიზაციის ტემპის და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ“. კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან საბჭოთა ხელისუფლება მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადავიდა. ექსპლოატატორთა უკანასკნელი კლასი—კულაკობა დამარცხებულ იქნა და გლეხობა სამუდამოდ განთავისუფლდა კულაკთა კაბალისაგან.

დიადი სოციალისტური გარდაქმნის განხორციელებისას სოფლად თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა კოლექტივიზაციის ხელმძღვანელობაში. ამხანაგ სტალინის მითითებით ეს ნაკლოვანებები გამოსწორებულ იქნა. საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლად გაიმარჯვა. სტალინურმა იდეებმა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობისა და ძისი დიდი მომავლის შესახებ თავისი სრული განსახიერება ჰპოვეს აყვავებულ საკოლმეურნეო წყობილებაში. სოციალისტური სოფლის მეურნეობა აღჭურვილია პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. მიწა კოლმეურნეობებს გადაცემული აქვთ უვადო და სამუდამო სარგებლობაში. მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის პირობებში შესაძლებელი გახდა მოწინავე აგროტექნიკის მტკიცედ დანერგვა და ჩვენი კოლმეურნეობები წლითი-წლობით ადიდებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. ასრულდა დიდი სტალინის მიერ 1929 წელს გენიალური შორსმჭვრეტელობით ნათქვამი სიტყვები: „განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებას (კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი) დიდი მომავალი აქვს, რომ იგი გამოიჩინს ზრდის სასწაულებს?“

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ყოველთვის მზრუნველობას იჩენდნენ და იჩენენ კოლმეურნეობებისადმი. დიდი სტალინის ყოველ მამობრივ მზრუნველობას კოლმეურნეები უპასუხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდით. საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით.

დიდი სამამულო ომის წლებში ყოველმხრივ დადასტურდა და გამომჟღავნდა საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა და კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი. კოლმეურნე გლეხობამ დასძლია ომის ყველა სიძნელე და წარმატებით ამარაგებს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით.

და თუ ჩვენს ფრონტს მტკიცე სასოფლო-სამეურნეო ზურგი აქვს, თუ კოლმეურნეებმა დასძლიეს სიძნელეები, ეს იმიტომ, რომ საკოლმეურნეო წყობილებას უდიდესი შესაძლებლობანი გააჩნია პროდუქციის გასადიდებლად. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ახლანდელი ომი კოლმეურნე გლეხობას მიაჩნია თავის საარსებო საქმედ. ამხანაგმა სტალინმა თავის საოქტომბრო მოხსენებაში მუშათა კლასთან და საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად, მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნე გლეხობის შრომას. მან სთქვა: „ჩვენი კოლმეურნე გლეხობა აქტიურად და სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის სრული შეგნებით უწყობს ხელს წითელ არმიას მტერზე გამარჯვების მოპოვებაში“.

ამ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული კოლმეურნე გლეხობა ახალი ძალით შეუდგა მუშაობას და მზადაა ოახმარებას უწევს გმირ წითელ არმიას.

საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად დაუღალავად შრომობენ სამშობლოსათვის, გამარჯვებისათვის. წარმატებით არის შესრულებული პურის სავალდებულო ჩაბარების, ჩაის კრეფა-დამზადების. ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების, თამბაქოს შიტენისა და სხვა გეგმები.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უხეი მოსავალი მიიღეს, წარმატებით ამთავრებენ სამეურნეო წელს და ენერგიულად იმზადებიან იმისათვის, რომ 1945 წელს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცენ ქვეყანას. კოლმეურნე გლეხობის მხურვალე პატრიოტიზმის ნათელი გამოხატულებაა იალდიბულგარეთა შეჭრილება საბრძოლო წინაშე, გეგმის გადამეტებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარება სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს ინტერესებს, ფრონტის ინტერესებს კოლმეურნეები ყველაფერზე მაღლა აყენებენ. „ყველაფერი ფრონტისათვის“ — ამ ლოზუნგით შრომობენ საქართველოს კოლმეურნეები მთელ საბჭოთა კავშირის კოლმეურნეებთან ერთად.

გაუმარჯოს კოლმეურნე გლეხობას! დიდება დიადი საკოლმეურნეო მშენებლობის სტალინჩამოგრილს, ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, გენიალურ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების გენიალურ ორგანიზატორს, ხალხთა საყვარელ ბელადს, გამარჯვების მარშალს დიდ **სტალინს!**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

26 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე, ქალაქ დიენდიეშის ჩრდილოეთით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შალგო-ტარიანი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები მადიარ-ზაბარი, ფელშე უტა-ში, ალშო-უტაში, გარატონი, ზაბარი, ცერიდი, გარნა, როზა, ინასო, ალ-შო-კალფალვა, ფალშე - კალფალვა, გაბლიაშალია, კიშ-ხარტიანი, შოშ-ხარტიანი, მედიერი და რკინიგზის სადგური ალშო-კალფალვა. 24 და 25 დეკემბრის ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 960 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ შაბის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის შალმოში, ჩაიკოვი, რიგნიკი, ველიკიე კოზხალოვცე, ტეკოვი, კლეჩანი, გორნი სეში, სვიატოი იური გროზნაზე, ტრგინია, ლოწგოვი, შალოვი, მალიე ლუდინცე, ზალაბა და რკინიგზის სადგურები კოზმალოვცე, ზალაბა.

შკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, განვითარეს რა შეტევა ბუდაპეშტის შემოვლით დასავლეთიდან, მიადგნენ მდინარე დუნაის, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ესტერგომი, დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები დოროგი და ტატი და ამით დაამთავრეს მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დაჯგუფების გარშემორტყმა. ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ბუდაპეშტის დასავლეთი გარეუბნები — ბუდაშკი, გუდაერში, ზუგლიგეტი, პიპოტმიზე, ხარშაპალია, კეშტხიდეგკუტი, პილიშვერეშვარი, პილიშგოროშენე, იურემი, დასახლებული პუნქტები ჩოკან-კა, პომაზი, კესტელცი, გაინა, ტარიანი, ვერტეშაველ, ოროსლანი, ჩაკვა-რი და რკინიგზის სადგურები პილიშვერეშვარი და საარი.

25 დეკემბრის ბრძოლებში ბუდაპეშტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით შკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.340 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოედა.

25 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახლოებით და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 27 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას ავითარებდნენ. ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა სწრაფი დარტყმით დაიკავეს უნგრეთის დიდი ქალაქი ესტერგომში, რომელიც მდებარეობს მდინარე დუნაის სამხრეთ ნაპირზე, ბუდაპეშტის ჩრდილო-დასავლეთით. ამავე რაიონში დაკავებულია რკინიგზის სადგურები დოროგი და ტატი. ამრიგად, მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დაჯგუფების გადაჭრილი აქვს უკანდასახევი ყველა გზა. ჰიტლერელთა დიდი ძალები რკალში არიან მოქცეული და საბჭოთა ჯარები სპობენ მათ. გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ბუდაპეშტის მისადგომებზე. ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს იმ სიმაგრეების შიდა რკალი, რომლებიც უნგრეთის დედაქალაქს დასავლეთიდან იფარავდნენ და შეიჭრნენ საგარეუბნო დაბებში. გერმანელები ჩასაფრდნენ ქვიტკირის შენობებში და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევიდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა, რომელნიც მოერაზე ჯგუფებად მოქმედებდნენ, ჩაახშეს მტრის წინააღმდეგობის კვანძები და დაიკავეს 9 დაბა, რომლებიც ბუდაპეშტის დასავლეთ გარეუბნებს წარმოადგენენ.

ქალაქ სეკესფეხერვარის ჩრდილოეთით ჩვენმა მაროლელმა და ცხენოსანმა ნაწილებმა გაავითარეს ბრძოლის შედეგად დაიკავეს დასახლებული პუნქტი ჩაკვარი,—მტრის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი. ჩაკვარის გერმანელთა გარნიზონი მთლიანად გაჟლეტილია. ჩვენმა ჯარებმა წარმატება გაბვათრთარეს. გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ეგრეთწოდებული „ბათრის ხაზი“, წინ წაიწიეს და განდევნეს ჰიტლერელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. არასრული ცნობებით, ერთ დღეს მოსპობილ იქნა გერმანელთა 32 ტანკი, 47 ქვემეხი და 12 ჯავშანტრანსპორტიორი. მოწინააღმდეგე უკან იხევს ჩვენი ჯარების დარტყმების გვრ და სტოვებს დიდძალ იარაღს და სამხედრო ქონებას, ხელთ ვიგდებთ გერმანელთა 7 ტანკი და თვითმავალ ქვემეხი, 11 ჯავშანტრანსპორტიორი, 40 საველე ქვემეხი, 162 ვაგონი ტვირთიანად, 8 საწყობი სამხედრო ქონებიანად და სხვა დაკლ.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებსა და ტექნიკას. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 15 თვითმფრინავი.

წითელარმიელები, სერჟანტები და ოფიცრები მამაცობას, გულადობასა და მაღალ სამხედრო ოსტატობას იჩენენ ბრძოლებში. უმეტეს ნაწილს ლეიტენანტ ბატურლინის ოცეულზე იერიშით მოიტანა მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა, რომელსაც ორი თვითმავალი ქვემეხი ეხმარებოდა. ჯავშანტვრეველმა ალექსანდრა ცეცხლი წაუკიდა ერთ თვითმავალ ქვემეხს. გერმანელთა ქვეითს ჯარის ხალპით შეეგებეთ და უწესრიგოდ დავახევინეთ უკან, ამასთან მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა ასამდე ოცულები ჯარისკაცი და ოფიცერი. ერთ ბრძოლაში ლეიტენანტმა სემიონოვმა და რიგითმა მებრძოლმა მიხეევმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლეტეს 30 ჰიტლერელი. გვარდიის ლეიტენანტ ფედურაროვის თვითმავალი ქვემეხის ეკიპაჟმა მოწინააღმდეგის 2 ტანკი დაახიანა. გვარდიის უფროს სერჟანტ ტიმონინიევის ქვემეხის გუნდმა ერთი დღის განმავლობაში დასწვა გერმანელთა თვითმავალი ქვემეხი და ორი ჯავშანტრანსპორტიორი. გვარდიის ზემდეგმა კოშკარბაევმა მაშხანის ცეცხლით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი გამანადგურებელი.

* * *

უნგრეთში ქალაქ დიენდიეშის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწოდნენ. ნ შეზიართის ნაწილებმა გადალახეს შომლიას მთა და ბრძოლები გააჩაღეს სამრეწველო ქალაქ შალგო-ტარიანის მისადგომებზე. გერმანელებმა ზედიზედ მოიტანეს რვა კონტრიერიში. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოჰქნეს ცეს მოწინააღმდეგე, ხოლო შემდეგ ძლიერი დარტყმით უკუაგდეს იგი და დაიკავეს ქალაქი შალგო-ტარიანი. ქალაქის მისადგომებზე მოკლულია 400-მდე ჰიტლერელი. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დავლა, რომელშიც არის 8 ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცნი, 24 ტყვიამფრქვევი და 2 საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ შაბის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგემ გამოიყენა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მთიანი რაიონი და არა ერთხელ მოიტანა კონტრიერიში. საბჭოთა ქვეითებმა არა მარტო მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები, არამედ ცვლა-ვე უკუაგდეს ჰიტლერელები. დაკავებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომელთაგის წარმოებულ ბრძოლებშიც მოსპობილია ერთ ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. ერთ უბანზე ჩვენი ტანკების ჯგუფი მოწინააღმდეგის ზურგში შეიჭრა და გაანადგურა მტრის ავტოკოლონა. დამსხვრეულია გერმანელთა 14 ავტომანქანა. მათ შორის 7 ავტომანქანა სამაორ მასალიანად და 2 ავტოცისტერნი ბენზინიანად.

ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავი

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭომ შექმნა კომიტეტი ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავის ჩასატარებლად შემდეგი შემადგენლობით:

ბ. ა. ვედენეკი (კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ი. ბერგი, ა. ი. ბერტინოვი, ს. ი. ვავილოვი, ა. მ. გასილიევი, ლ. მ. გალერი, ა. ფ. იოფე, ი. გ. კაბანოვი, ბ. ლ. კაპიცა, ს. ვ. კაფტანოვი, ი. გ. კლაკკინი, ვ. ლ. კომაროვი, ვ. ი. კოვალენკოვი, ა. ლ. მინცი, ვ. ფ. მიტკევიჩი, ნ. დ. პაპალექსი, ი. ტ. პეტრუსინკინი, ა. ა. პუზინი, კ. ი. სერგეიჩუკი, ს. გ. სუვოროვი, ა. ა. ტურინინი, ვ. ა. ფუკი, ა. დ. ფორტუშენკო და მ. ა. შატელენი.

კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებანი ა. ს. პოპოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მოაწყოს ლექციები და მოხსენებები, და აგრეთვე ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენცია 1945 წ. მაისში ქ. მოსკოვში, მძიმეწილი ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონებისადმი.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ დღეს ათენში გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ჩერჩილი, ელასის (ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის სამხედრო ორგანიზაცია) დელეგატები, სოფულისი, საბერძნეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პლასტირასი და სხვა პირნი, რომლებიც მიიწვიეს პაპანდრეუმ და მთავრების კაპიტომა დამასკინოსმა, რომელიც კონფერენციას თავმჯდომარეობდა. სხდომა დაიწყო ჩერჩილის სიტყვით, რის შემდეგაც ინგლისის წარმომადგენლები გაიცნენ და საშუალება მისცეს ბერძნებს თვითონ განეხილათ საკითხი. შემდგომ, იუწყება ლონდონის რადიო, გამოირკვა, რომ კონფერენციას ესწრებიან აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბერძნეთში და საბჭოთა სამხედრო მეთვალყურე პოლკოვნიკი პოპოვი. ლონდონის რადიოს კორესპონდენტი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ კონფერენცია რამდენიმე დღეს გაგრძელდება. იგი იტყობინება აგრეთვე, რომ მთელ დღევანდელ დღეს ათენში საარტილერიო სროლა გრძელდებოდა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 26 დეკემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ აღმოსავლეთ ბოსნიაში გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს ბიელინა-ჩელიჩიის სექტორში. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. მოგერიებულია გერმანელთა ნაწილების ყველა ცდა კორიაში შეჭრისა. მდინარე ბოსნის ხეობაში გერმანელთა ნაწილებმა იერიშები განაახლეს ზენიცადან ტრავნიკის მიმართულებით, ამასთან ბრძოლაში გამოიყვანეს ტანკების მნიშვნელოვანი რაოდენობა. გერმანელთა ყველა იერიში მოგერიებულია, მოწინააღმდეგე უკუგდებულია საწყის პოზიციებზე.

ჩერნოგორიაში იუგოსლავიელთა და ალბანელთა ნაწილები მდინარე ტარის ზემოწელის ხეობაში ბრძოლებს განაგრძობენ გერმანელთა დაჯგუფების მოსასპობად.

ჰერცოგოვინაში მოგერიებულია გერმანელთა და უსტაშთა ყველა გამოხდომა შიროკი ბრიეგიდან პოსუშიეც მიმართულებით, ამასთან ათ დიდი ზარალი მოუვიდათ.

ხორვატიაში კოპრივნიცის სექტორში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს გერმანელთა ძლიერი დასაყრდენი პუნქტები კლოშტარი, კალინოვაცი და ფერდინანდოვაცი.

სლოვენიაში გერმანელთა ნაწილები განაგრძობენ ცდებს გაიჭრან შტაიერიაც ოლქის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მუსიკის დასკვნითი კონცერტი

აზერბაიჯანული მუსიკის უკანასკნელი კონცერტი, რომელიც გუშინ, 26 დეკემბერს, გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერასა და ბალეტის თეატრში, მიძღვნილი იყო ხალხური მუსიკისა და ცეკვისადმი.

აზერბაიჯანელი ხალხის მუსიკალურ-სასმენელო შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. მჩაგვრელებისადმი სიძულვილმა და თავისუფალი ცხოვრების სიყვარულმა, მისწრაფებამ ბრძოლისაკენ და მტრებისათვის სამგლეროს გადახდისაკენ, თავისი გამოხატულება ჰპოვა ძველ აზერბაიჯანულ სმენელში. აზერბაიჯანის ხალხის მძიმე წარსულმა დატოვა ცოცალი ისეთი, უმეტეს შემთხვევაში სევდიანი, ლირიკული მელოდიებისა, როგორიც არის „ბაიათი“ და „შიქასტა“.

აზერბაიჯანელ ხალხს უყვარს ლირიკა. იგი უმღერის სიცოცხლეს, სიყვარულს და ბუნების სილამაზეს. ეს სიმღერები უბრალოა თავისი შინაარსით, მაგრამ მომხიბვლელნი.

დიდი ადგილი უჭირავს მუსიკალურ ფოლკლორში ხალხურ საცეკვაო მელოდიებს. აზერბაიჯანის ხალხს საცეკვაო ხელოვნებაში მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტია. თაობიდან თაობაში გადადიოდა ხალხური ცეკვა, ნიჭიერი მოცეკვავენი ამდიდრებდნენ მას თავისი ჯამომგონებლობით, თავისი ოსტატობით. ასე ჩამოყალიბდა „შირზაია“, „ყაენიან“, „თარაქამა“, „კაზახი“, „ინაბი“, „უზუნდარა“.

მდიდარია აზერბაიჯანის ხალხური ინსტრუმენტალური მუსიკა. თარს, ქემანჩას, სახს თავისი ფართო რეპერტუარი აქვთ. რეპოლუციამდე აზერბაიჯანს არ ჰქონდა მუსიკალური ანბანი, ახლა კი აღმოსავლური საკრავები ევროპულ ნოტებზეა გადაყვანილი.

ყველაფერი ეს ჯერად გამომჟღავნდა გუშინდელ კონცერტზე. ეს კონცერტი ნათელი ილუსტრაცია იყო იმისა, თუ რა უდიდესი მუშაობა შეასრულებინათ აზერბაიჯანის სახელოვნო ორგანიზაციებს მშობლიური ხელოვნების გაფურჩქნისათვის.

კონცერტი დაიწყო აზერბაიჯანის ხალხურ საკრავთა ანსამბლით ორკესტრის გამოსვლით. (ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი სეიდ რუსტამოვი). შესრულებული იყო კომპოზიტორების ადილ გერაის, სულეიმან ალესკეროვის, ა. რზაევას, სეიდ რუსტამოვის ნაწარმოებები. საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა ს. რუსტამოვის „გმირულმა მელოდიამ“.

აზერბაიჯანს ჰყავს სიმღერისა და ცეკვის შესანიშნავი სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გილმან სალახოვი ხელმძღვანელობს. საუცხოოდ ბგერს ანსამბლის შესრულებით „სიმღერა სტალინზე“, რომლის მუსიკალური დამუშავება კომპოზიტორ სეიდ რუსტამოვს ეკუთვნის, ხოლო სიტყვები—მამედ რაგიმს. საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა სტალინური პრემიის ლაურეატის უზეირ ჰაჯიბეგოვის მარშმა (სიტყვები სამედ ვურგუნისა). მის ავტორს მხურვალე ოვაცია მოეწყვა.

აშვიათი სილამაზისაა ცეკვები აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტ გამერ ალმასზადეს და დამსახურებულ არტისტ ა. აბდულაევის დადგმით.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო საზის დამკვრელ ქალთა ანსამბლმა კომპოზიტორ ჯავანგირ ჯავანგიროვის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა შეასრულა კომპოზიტორების ჰაჯი ხანმამედოვის, სოლტან ჰაჯიბეგოვის და ჯავანგირ ჯავანგიროვის ნაწარმოებები. ანსამბლმა დიდი ინტერესი გამოიწვია თავისი შესრულების მაღალი ტექნიკით.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ოპერის სოლისტებმა ხ. ყარაევამ, ბ. ბაბაევმა, ა. ალიევმა, ა. ალიზადემ, ა. ალიევამ, ა. ალიზადემ, ა. ალიევამ, ა. ალიზადემ, ა. ალიევამ

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა. თბილისის პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჩარკვიანმა, რომელსაც აქტივი გულთბილად შეხვდა.

— ამხანაგ სტალინის მოხსენება ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამას წარმოადგენს სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე. თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საბჭოთა კავშირის, ჩვენი მოკავშირე ქვეყნებისა და ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, განსაზღვრა ამოცანები, რომლითაც შესრულებასაც უნდა მოჰყვეს გერმანულ-ფაშისტური სახელმწიფოს საბოლოო განადგურება და ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვება.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი მუშაობა, ჩვენი სახალხო კომისარიატებისა და საწარმოების მუშაობა უნდა განისაზღვრებოდეს იმ ამოცანებით, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დასახა. სწორედ ამიტომ პარტიის თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა საქალაქო აქტივის განსახილველად დაეყენებინა საკითხი თბილისის პარტიული ორგანიზაციის უახლოესი ამოცანების შესახებ, რომლებიც ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან გამომდინარეობენ.

— 1944 წელს, ისევე როგორც წინა 2½ წლის განმავლობაში,—ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — თბილისის პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის ღონისძიებებს ფრონტის დასახმარებლად წარმართავდა. 1944 წლის 11 თვის განმავლობაში ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულა.

ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის იმ საწარმოებმა, რომლებიც ქალაქში მდებარეობენ, 11 თვის გეგმა 124,3 პროცენტით შეასრულეს; კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა — 114,6 პროცენტით, პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებმა — 113,5 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა — 112,5 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა — 106,2 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა — 100,9 პროცენტით.

ამასთან ერთად ზოგიერთი სისტემის საწარმოებმა 11 თვის გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს. თბილისის ქალაქის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ამ პერიოდში 99,4 პროცენტს შეადგენს; ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოებში — 95,6 პროცენტს; ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის საწარმოებში — 94,3 პროცენტს. ყველაზე მეტად ჩამორჩებიან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა წარმოების მთავარი სამმართველოს საწარმოები. 11 თვის გეგმა მათ სულ 87,6 პროცენტით შეასრულეს. გეგმის შესრულებაში ერთგვარ ჩამორჩენას ადგილი აქვს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში.

ყველა საწარმო როდი ასრულებს მათთვის დამტკიცებულ გეგმებს პროდუქციის ასორტიმენტის დარში. არის ფაქტები, რომლებიც მიუშობენ, რომ ზოგიერთი ამ საწარმოთაგანი ციფრობრივ მაჩვენებლებს გამოედევნა, დაუშვა გადახვევა პროდუქციის ნატურით გამოშვების დამტკიცებული გეგმისაგან და უმეტეს ნაკლებ შრომატევად და ნაკლებ რთულ ნაწარმს.

ამხ. ჩარკვიანი ასახელებს ქალაქის იმ საწარმოებს, რომლებიც მოწინავენი არიან 1944 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით. მათ შორის არის საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომბინატის სახელობის ქარხანა. 11 თვეში ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,3 პროცენტით შეასრულა, ამასთან ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა ნაწარმის ძირითადი სახეების მიხედვით.

მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მუშაობა ქარხანა „ცენტროლიტმა", რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო. ოქტომბერსა და ნოემბერში მან დაავალებები გადაჭარბებით შეასრულა. 20 დეკემბრისათვის ქარხანამ წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა. წუნდებული პროდუქცია, რაც პირველ კვარტალში აღწევდა გამოშვებული სხმულის 50 პროცენტს, ოქტომბერ-ნოემბერში უკვე 17 პროცენტამდე შემცირდა. მაგრამ მიღწეული წარმატებანი ზღვარს როდი წარმოადგენენ. ქარხნის ხელმძღვანელობამ, მისმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ „ცენტროლიტმა" მტკიცედ დაიკავოს ადგილი მოწინავე საწარმოთა შორის. საჭიროა უფრო გაბედულად დავნერგოთ გაუმჯობესებული ტექნოლოგია, სისტემატურად ვიზრუნოთ სხმულის ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და წუნის შემცირებისათვის, უზრუნველვყოთ პროდუქციის გამოშვება ზუსტად გრაფიკის მიხედვით და კომპლექტურად.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი ეხება ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობას.

თავისი წარმოების ძირითადი სახის მიხედვით სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებს. მიმდინარე წლის 11 თვეში ორთქლმავლების რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 81,6 პროცენტით. ქარხნის ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მის ხელმძღვანელობას დღემდე არ აუღია ხელი მუშაობის კუსტარულ მეთოდებზე.

ქარხნის ხელმძღვანელობამ, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღმოფხვრას იერიშობანა მუშაობაში, მოაგვაროს ზუსტი საამქროთაშორისო დაგეგმვა, უზრუნველჰყოს დეტალებისა და კვანძებია საჭირო მარაგის შექმნა, რაც ქარხნის რიტმული მუშაობის ძირითად პირობას წარმოადგენს. ამასთან ერთად, საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს ტექნიკური ხელმძღვანელობა საამქროებისა და ბრიგადებისადმი, დაცულ იქნას ტექნოლოგიური დისციპლინა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კავკასიის დაცვის დღეებში. თბილისის მუშებმა თავი გამოიჩინეს, როგორც ჩვენი სამშობლოს ნამდვილმა პატრიოტებმა.

ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს საბჭოთა ზურგის მშრომელთა გმირობაზე, ასახელებს თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშებს. უკანასკნელ წლებში წარმოებაში მოსული ახალგაზრდობა და ქალები სწრაფად და წარმატებით თვისებენ პროფესიებს. ბევრი მათგანი უკვე გეიჩვენებს მუშაობის მაღალ ნიშნებს.

ძირითადი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ მრეწველობის ბეთონი რეზერვები, საწარმოთა მთელი სიმძლავრე. საჭიროა მთელი ღონისძიებანი წარმართოთ ჩვენი საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისაკენ, ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლების, შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფართო ღონისძიებათა გატარების გზით. უნდა მივაღწიოთ ფაბრიკებისა და ქარხნების, სამშრომებისა და აგრეგატების რიტმულ მუშაობას. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ იერიშობანა და კამპანიურობა, რომლებიც წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დაბალი კულტურის შედეგს წარმოადგენენ.

შომავალ წელს ჩვენი საწარმოების წარმატებითი მუშაობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს იმის უმტკივნეულოდ განხორციელება, რომ ზოგიერთი მათგანი გადავიდეს ნაწარშის ახალ სახეებზე, რომლებიც დიდად ესაჭიროება ჩვენს მეურნეობას.

— ჩვენი მრეწველობის მუშაობის კანონად რჩება, — აღნიშნავს ამხ. ჩარკვიანი, — ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობის, ინსტრუმენტების უსასტიკესი მოჭირნეობის დაცვა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვან სიმაღლეზე უნდა აიყვანონ მომჭირნეობისათვის ბრძოლის საკითხები. ამ საქმეში უნდა ვიბაძოთ თვითეული მუშა, ჩვენი ინჟინერ-ტექნიკური ძალების თვითეული წარმომადგენელი. განსაკუთრებით საჭიროა გავაჩაღოთ ბრძოლა ნედლეულის მომჭირნეობისათვის ლითონდამუშავებელ ქარხნებში, სადაც ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის რიგზე. ამხ. ჩარკვიანი აქტივის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანმა აქტივის ყურადღება მიაპყრო შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების ამოცანას. შეამცირონ შრომის ხარჯვა ნაწარმის ერთეულზე, გამოუშვან მეტი პროდუქცია მუშათა ნაკლები რაოდენობით, — ეს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამხ. ჩარკვიანი დაწვრილებით ეხება ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანებს.

— მუშათა ახალი კადრების შექმნისა და წარმოებაში მათი შენარჩუნების საქმეში, — ამბობს იგი, — განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს წარმოების ახალ მუშათა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საქმეს. საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსებისადმი.

მრეწველობის დარგში ამოცანების წესისრულებლად საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ საწარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი. ომის წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიონულმა კომიტეტებმა გაიმდიდრეს გამოცდილება მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგში. შემდგომში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ საწარმოებში კადრების სწორად განაწილება, ტექნიკური სწავლების ფართოდ გაშლა, ყოველდღიურად იზრუნონ მუშათა კლასის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობაზე საქალაქო მეურნეობის მდგომარეობისათვის, რამდენიმე ხნის წინათ პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა განიხილა საქალაქო მეურნეობის საკითხები და ამომწურავი დირექტივები მისცა პარტიულ ორგანიზაციებს ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ. უნდა უზრუნველვყოთ პლენუმის გადაწყვეტილებათა აუცილებლად შესრულება, დავრწმუნდეთ ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მის ხელმძღვანელობას დღემდე არ აუღია ხელი მუშაობის კუსტარულ მეთოდებზე.

ქარხნის ხელმძღვანელობამ, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღმოფხვრას იერიშობანა მუშაობაში, მოაგვაროს ზუსტი საამქროთაშორისო დაგეგმვა, უზრუნველჰყოს დეტალებისა და კვანძებია საჭირო მარაგის შექმნა, რაც ქარხნის რიტმული მუშაობის ძირითად პირობას წარმოადგენს. ამასთან ერთად, საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს ტექნიკური ხელმძღვანელობა საამქროებისა და ბრიგადებისადმი, დაცულ იქნას ტექნოლოგიური დისციპლინა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კავკასიის დაცვის დღეებში. თბილისის მუშებმა თავი გამოიჩინეს, როგორც ჩვენი სამშობლოს ნამდვილმა პატრიოტებმა.

ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს საბჭოთა ზურგის მშრომელთა გმირობაზე, ასახელებს თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშებს. უკანასკნელ წლებში წარმოებაში მოსული ახალგაზრდობა და ქალები სწრაფად და წარმატებით თვისებენ პროფესიებს. ბევრი მათგანი უკვე გეიჩვენებს მუშაობის მაღალ ნიშნებს.

ძირითადი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ მრეწველობის ბეთონი რეზერვები, საწარმოთა მთელი სიმძლავრე. საჭიროა მთელი ღონისძიებანი წარმართოთ ჩვენი საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისაკენ, ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლების, შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების, მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფართო ღონისძიებათა გატარების გზით. უნდა მივაღწიოთ ფაბრიკებისა და ქარხნების, სამშრომებისა და აგრეგატების რიტმულ მუშაობას. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ იერიშობანა და კამპანიურობა, რომლებიც წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დაბალი კულტურის შედეგს წარმოადგენენ.

შომავალ წელს ჩვენი საწარმოების წარმატებითი მუშაობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს იმის უმტკივნეულოდ განხორციელება, რომ ზოგიერთი მათგანი გადავიდეს ნაწარშის ახალ სახეებზე, რომლებიც დიდად ესაჭიროება ჩვენს მეურნეობას.

— ჩვენი მრეწველობის მუშაობის კანონად რჩება, — აღნიშნავს ამხ. ჩარკვიანი, — ნედლეულის, ელექტროენერგიის, სათბობის, ინსტრუმენტების უსასტიკესი მოჭირნეობის დაცვა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვან სიმაღლეზე უნდა აიყვანონ მომჭირნეობისათვის ბრძოლის საკითხები. ამ საქმეში უნდა ვიბაძოთ თვითეული მუშა, ჩვენი ინჟინერ-ტექნიკური ძალების თვითეული წარმომადგენელი. განსაკუთრებით საჭიროა გავაჩაღოთ ბრძოლა ნედლეულის მომჭირნეობისათვის ლითონდამუშავებელ ქარხნებში, სადაც ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის რიგზე. ამხ. ჩარკვიანი აქტივის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანმა აქტივის ყურადღება მიაპყრო შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების ამოცანას. შეამცირონ შრომის ხარჯვა ნაწარმის ერთეულზე, გამოუშვან მეტი პროდუქცია მუშათა ნაკლები რაოდენობით, — ეს სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამხ. ჩარკვიანი დაწვრილებით ეხება ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანებს.

— მუშათა ახალი კადრების შექმნისა და წარმოებაში მათი შენარჩუნების საქმეში, — ამბობს იგი, — განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს წარმოების ახალ მუშათა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საქმეს. საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მუშათა კლასის ახალგაზრდა შევსებისადმი.

მრეწველობის დარგში ამოცანების წესისრულებლად საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ საწარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი. ომის წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიონულმა კომიტეტებმა გაიმდიდრეს გამოცდილება მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგში. შემდგომში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ საწარმოებში კადრების სწორად განაწილება, ტექნიკური სწავლების ფართოდ გაშლა, ყოველდღიურად იზრუნონ მუშათა კლასის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობაზე საქალაქო მეურნეობის მდგომარეობისათვის, რამდენიმე ხნის წინათ პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა განიხილა საქალაქო მეურნეობის საკითხები და ამომწურავი დირექტივები მისცა პარტიულ ორგანიზაციებს ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ. უნდა უზრუნველვყოთ პლენუმის გადაწყვეტილებათა აუცილებლად შესრულება, დავრწმუნდეთ, რომ ამხანაგ ბერიას მიერ დანერგილ ტრადიციებს, ყოველდღიურად და დაუღალავად უნდა იზრუნოს ჩვენი კადრების, პარტიის წევრთა ფართო ფენებისა და მთელი ჩვენი ინტელიგენციის შეიარაღებისათვის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი ყოვლისმძლე მოძღვრებით.

— ომიანობის დროის უმძიმეს განსაცდელთა წლებში, — ამთავრებს ამხ. ჩარკვიანი, — საბჭოთა ხალხის მოქმედება ამხანაგ სტალინის სიბრძნით და შეურყეველი ნებისყოფით წარიმართებოდა. ამაშია ჩვენი ხალხის ბედნიერება, ვინაიდან მხოლოდ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობის მეოხებით შესძლო ჩვენმა სახელმწიფომ მოეგერიებინა გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოტევა და მიეღწია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის, რომლებმაც ჰიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენეს.

ეძებს გარეშეა, რომ იმ ამოცანების განხორციელებით, რომლებიც დასახულია ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ, შესაძლებელი იქნება ჩვენი საბჭოთა ხალხი, თავისი საყვარელი ბელადის წინამძღოლობით, ახლო მომავალში მიაღწევს დამსახურებულ გამარჯვებას მტერზე.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

აქტივი მქუხარე ტაშით ეგებება ამხ. ჩარკვიანის სამოლოო სიტყვებს. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს არ სცხრება აღტაცებული ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ამხ. ჩარკვიანის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. საქმიანად და ყოველმხრივ განხილულ იქნა სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მრავალი საკითხი.

იმ მუშაობაზე, რომელსაც პარტიის რაიკომი ეწევა კომუნისტების იდეური აღზრდისათვის, რაიონის მოსახლეობის ფართო ფენებში ამხანაგ სტალინის მოხსენების პროპაგანდის ორგანიზაციაზე ლაპარაკობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი ამხ. გაბუნია. ამხ. გაბუნია ეხება რაიონის ძირითად სამრეწველო საწარმოთა მუშაობას და ამბობს, რომ მათი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, სამეურნეო ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს უფრო ღრმად და ოპერატიულად რომ მოეკიდნათ ხელი შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მუშახელის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისათვის, მეტი მზრუნველობა რომ გამოეჩინათ შრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის.

ქალაქის კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობა დაწვრილებით დაახასიათა თავის გამოსვლაში საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა. თუ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა საწარმოებმა წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის საერთოდ 102 პროცენტით შეასრულეს, სახალხო კომისარიატის იმ საწარმოებმა, რომლებიც თბილისში მდებარეობენ, წლიური პროგრამა ამავე ვადისათვის შეასრულეს 110 პროცენტით. ამხ. კეცხოველმა აღნიშნა მიმდინარე წელს მოწინავე საწარმოების მიერ მიღწეული წარმატებანი და დაწვრილებით ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, რომლებიც ახასიათებენ ბევრი მათგანის მუშაობას. ეს არის უწინარეს ყოველისა პროდუქციის ასორტიმენტის დარღვევა. შრომის არასწორი ორგანიზაცია იყო იმის მიზეზი, რომ გეგმა ვერ შესრულეს სახალხო კომისარიატის მთელმა რიგმა საწარმოებმა — კერძოდ ქალალდის ფაბრიკამ. სანარდო მუშაობაში ამ ჩამბლია მუშათა მხოლოდ 21 პროცენტი. ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა ახალი კვალიფიკაციური კადრების მომზადებას. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება. მოწყობილობის სწორად გამოყენება, საწარმოებში ტექნიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება, — ამბობს ამხ. კეცხოველი, — ყოველივე ეს სახალხო კომისარიატის მუშაკთა პირველი რიგის ამოცანებია.

— მომდინარე წელს ქარხანას არაერთხელ ეკისრა სახალხო იდგილი საქართველოს სამრეწველო საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, — ამბობს თბილისის აეტომარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. სულაძე. — ქარხნის მოწინავე ადამიანები თავდადებულად მუშაობენ. 200-მდე სტახანოველი გეგმას 300-ზე მეტი პროცენტით ასრულებს, ბევრი — 600 პროცენტით. მაგრამ ქარხანამ ვერ შეასრულა გეგმა თავისი მუშაობის ძირითადი სახის — მანქანების კაპიტალური რემონტის დარგში. ამის ძირითადი მიზეზი იყო სუსტი შრომითი და საწარმოო დისციპლინა, მუშახელის დენადობა, რემონტის დაბალი ხარისხი, როგორც ტექნოლოგიური პროცესის დარღვევისა და საკონტროლო აპარატის სუსტი მუშაობის შედეგი.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს წარმოების ყველა დეტალს, უკეთესად გამოიყენოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება, უფრო მეტად მოჰკიდოს ხელი შრომითი და საწარმოო დისციპლინის საკითხებს. ეს ხელს შეუწყობს მოწყობილობის სრულად დატვირთვას, ჩარხების მოკლენის აღმოფხვრას და, ამრიგად, დამატებითი პროდუქციის გამოშვების ახალი წყაროების გამოვლინებას.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსი ამხ. ჰოვნანოვ ლაპარაკობს ქარხნის ჩამორჩენის მიზეზებზე, ამ ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებებზე.

მოაგონებს რა აქტივს ამხანაგ სტალინის მოხსენებაში დასახულ ამოცანებს, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ამხ. რაფავა ამბობს:

— ამ ამოცანების შესასრულებლად მომართულ უნდა იქნას წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის მთელი ძალები, მრეწველობის, ტრანსპორტის მთელი ღონისძიებანი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღონისძიებანი, მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის მთელი ძალები. ამჟამად არ არსებობს ნეიტრალური, ომთან დაუკავშირებელი დარგები მუშაობისა, ამბობს ამხ. რაფავა. — მუშის დამზადება, ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა, ფრონტელთა ოჯახების დახმარება და სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობა, ბრძოლა საეპრო ორგანიზაციებში პროდუქტების დატაცება და განიავებასთან—თვითეული ეს საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენს სამხედრო ღონისძიებებთან. ამხ. რაფავა ეხება საბინაო მეურნეობის საკითხებს, დატაცებასთან ბრძოლის ღონისძიებებს, თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის სიფხიზლის გაძლიერების საკითხებს და ამბობს, რომ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად წარმოებული მთელი ჩვენი მუშაობის წარმატება დამოკიდებული იქნება ჩვენი მუშაობის ყველა დარგში პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე. იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პარტიული აქტივი უნდა დაეუფლოს ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ სტილს, რომლის სულისკვეთებითაც ამხანაგი ლ. პ. ბერია ზრდიდა საქართველოს ბოლშევიკებს მთელი რიგი წლების მანძილზე.

26 კომპარის სახელობის ქარხნის ათასოვან-ა სტახანოველმა ამხ. კორძაძემ უამბო აქტივს, თუ როგორ სრულდება ლონისძიებანი, რომლებიც ქარხნის პარტიულმა კრებამ დასახა ამხანაგ სტალინის მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით. შემდეგ ამხ. კორძაძემ უამბო აქტივს, თუ რა დახმარებას უწევს ქარხანა ხარკოვის, ნალჩიკის, კოროვოგრადის საწარმოებს, რომელთა აღდგენაც ამჟამად ხდება. ამ ქალაქთა საწარმოებს გაეგზავნა 1 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, 2 სახარატო ჩარხი, 1 სარანდავი ჩარხი, 230 სხვადასხვა ინსტრუმენტი.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ, ახალგაზრდობაში ამხანაგ სტალინის მოხსენების პროპაგანდისათვის ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ილაპარაკა თავის სიტყვაში საქართველოს ლკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ფარულავამ. იგი დაწვრილებით შეჩერდა ახალგაზრდობისათვის მოწყობილი საღამოს სკოლების მუშაობაზე, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე მოწყვლთა დენადობის ლიკვიდაციის საქმეში, საჭირო სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოთა სკოლების უზრუნველყოფაზე. შემდეგ ამხ. ფარულავამ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება თბილისის კომკავშირული ორგანიზაცია საქართველოს კომკავშირის XVI ყრილობისათვის.

ამხ. ხითაროშვილმა — თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის დირექტორმა დაახასიათა ქარხნის კოლექტივის მუშაობა სამამულო ომის წლების მანძილზე, ილაპარაკა ქარხნის კადრების ზრდაზე, მის მოწინავე ადამიანთა წარმატებებზე. ამხ. ხითაროშვილმა აღიარა, რომ ქარხნის მუშაობის გარდაჭრნა ახალი სახის პროდუქციისათვისებასთან დაკავშირებით არადამაკმაყოფილებელად მიმდინარეობს.

თბილისპარჩობის დირექტორმა ამხ. კოლახნიამ აღნიშნა, რომ არსებობს ნაკლოვანებანი მომსპარებელთა მოშსახურებაში. და ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც თბილისპარჩობის ხელმძღვანელობა ატარებს მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებასთან ბრძოლის მიზნით — უეცარი და დოკუმენტალური რევიზიების მოხდენა, სავაჭრო ორგანიზაციების გაწყვეტა შემთხვევითი და შეუმოწმებელი ადამიანებისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანი ამხ. გიგოშვილი ამბობს, რომ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობის მეოხებით შესძლო ჩვენმა სახელმწიფომ მოეგერიებინა გერმანელ ფაშისტთა ურდოების შემოტევა და მიეღწია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის, რომლებმაც ჰიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენეს.

ეძებს გარეშეა, რომ იმ ამოცანების განხორციელებით, რომლებიც დასახულია ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ, შესაძლებელი იქნება ჩვენი საბჭოთა ხალხი, თავისი საყვარელი ბელადის წინამძღოლობით, ახლო მომავალში მიაღწევს დამსახურებულ გამარჯვებას მტერზე.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

აქტივი მქუხარე ტაშით ეგებება ამხ. ჩარკვიანის სამოლოო სიტყვებს. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს არ სცხრება აღტაცებული ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ამხ. ჩარკვიანის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. საქმიანად და ყოველმხრივ განხილულ იქნა სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მრავალი საკითხი.

იმ მუშაობაზე, რომელსაც პარტიის რაიკომი ეწევა კომუნისტების იდეური აღზრდისათვის, რაიონის მოსახლეობის ფართო ფენებში ამხანაგ სტალინის მოხსენების პროპაგანდის ორგანიზაციაზე ლაპარაკობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი ამხ. გაბუნია. ამხ. გაბუნია ეხება რაიონის ძირითად სამრეწველო საწარმოთა მუშაობას და ამბობს, რომ მათი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, სამეურნეო ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს უფრო ღრმად და ოპერატიულად რომ მოეკიდნათ ხელი შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მუშახელის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისათვის, მეტი მზრუნველობა რომ გამოეჩინათ შრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის.

ქალაქის კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობა დაწვრილებით დაახასიათა თავის გამოსვლაში საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა. თუ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა საწარმოებმა წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის საერთოდ 102 პროცენტით შეასრულეს, სახალხო კომისარიატის იმ საწარმოებმა, რომლებიც თბილისში მდებარეობენ, წლიური პროგრამა ამავე ვადისათვის შეასრულეს 110 პროცენტით. ამხ. კეცხოველმა აღნიშნა მიმდინარე წელს მოწინავე საწარმოების მიერ მიღწეული წარმატებანი და დაწვრილებით ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, რომლებიც ახასიათებენ ბევრი მათგანის მუშაობას. ეს არის უწინარეს ყოველისა პროდუქციის ასორტიმენტის დარღვევა. შრომის არასწორი ორგანიზაცია იყო იმის მიზეზი, რომ გეგმა ვერ შეასრულეს სახალხო კომისარიატის მთელმა რიგმა საწარმოებმა — კერძოდ ქალალდის ფაბრიკამ. სანარდო მუშაობაში ამ ჩამბლია მუშათა მხოლოდ 21 პროცენტი. ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა ახალი კვალიფიკაციური კადრების მომზადებას. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება. მოწყობილობის სწორად გამოყენება, საწარმოებში ტექნიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება, — ამბობს ამხ. კეცხოველი, — ყოველივე ეს სახალხო კომისარიატის მუშაკთა პირველი რიგის ამოცანებია.

— მომდინარე წელს ქარხანას არაერთხელ ეკისრა სახალხო იდგილი საქართველოს სამრეწველო საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, — ამბობს თბილისის აეტომარემონტო ქარხნის პარტორგ